საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის

მინისტრის ბრძანება №3/73

2007 წლის 23 აპრილი

ქ. თბილისი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-3 პუნქტის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მიზნით, **ვბრძანებ:**

1. საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის ბაზაზე დაფუძნდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი.
2. დამტკიცდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის თანდართული წესდება.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გ. გაბაშვილი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება – საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯი (შემდგომში – კოლეჯი) არის „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე შექმნილი საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს საშუალო პროფესიულ სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების გარეშე.
2. კოლეჯი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების საფუძველზე.
3. კოლეჯი შექმნილია საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კოლეჯის ბაზაზე და წარმოადგენს მის სამართალმემკვიდრეს.
4. კოლეჯს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები ხაზინასა და საბანკო დაწესებულებებში და საჯარო სამართლის იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
5. კოლეჯი საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს როგორც საქართველოს, ასევე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.
6. კოლეჯის იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, კონსტიტუციის ქ. №6.

მუხლი 2. კოლეჯის მიზანი

კოლეჯის მიზანია:

ა) განახორციელოს საშუალო პროფესიული სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამები;

ბ) მოამზადოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგები.

მუხლი 3. სასწავლო პროცესის ორგანიზაცია

1. კოლეჯში სასწავლო პროცესის ორგანიზაცია, სწავლების შინაარსი და ხანგრძლივობა, სწავლის შედეგებისა და მიღწევების შეფასების სისტემა განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო საგანმანათლებლო სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო გეგმებისა და საგნობრივი პროგრამების საფუძველზე.
2. კოლეჯში სწავლის უფლებით სარგებლობენ სრული ზოგადი განათლების მქონე პირები.

3. კოლეჯში მიღება ხორციელდება კონკურსის საფუძველზე.

4. ფასიანი მომსახურების ჯგუფებში მიღება ხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ კოლეჯში სწავლის მსურველთა რაოდენობა აღემატება საბიუჯეტო სექტორზე მისაღებ კონტინგენტს.

5. კოლეჯის საბიუჯეტო სექტორზე მისაღებ კონტინგენტს განსაზღვრავს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

6. კოლეჯში მოსწავლეთა ჩარიცხვა წარმოებს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მიმღები კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე (შემსვლელთათვის აუცილებელი საბუთების ნუსხა და ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება შინაგანაწესით).

7. კოლეჯის დასრულების შემდეგ გაიცემა საშუალო პროფესიული სასპორტო განათლების დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 4. კოლეჯის სტრუქტურა და მართვა

1. კოლეჯის სტრუქტურული ერთეულებია ადმინისტრაცია, ძირითადი სასწავლო (განყოფილები) და დამხმარე-სასწავლო სტრუქტურული ერთეულები.

2. კოლეჯს მართავენ ადმინისტრაცია (რომელსაც ხელმძღვანელობს დირექტორი) და პედაგოგიური საბჭო.

3. პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში შედის კოლეჯის ყველა პედაგოგი.

4. პედაგოგიურ საბჭოს ხელმძღვანელობს კოლეჯის დირექტორი.

5. პედაგოგიური საბჭო:

ა) მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე ქმნის სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც ასრულებენ საბჭოს დავალებებს და ანგარიშვალდებულნი არიან მის წინაშე;

ბ) ადგენს პედაგოგიური საბჭოს მუშაობის რეგლამენტს;

გ) განიხილავს დირექტორის მიერ შემუშავებულ წლიურ სამუშაო გეგმას;

დ) შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველზე შეიმუშავებს კოლეჯის სასწავლო გეგმებს;

ე) ისმენს დირექტორის, დირექტორის მოადგილის(ების) და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ანგარიშს (ინფორმაციას) საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით;

ვ) იხილავს კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, სასწავლებლის სასწავლო გეგმებში ცვლილებების შეტანისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს, იღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

6. პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.

7. კოლეჯის ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი.

8. კოლეჯის დირექტორად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პედაგოგიური და სასპორტო მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, ორგანიზაციული საქმიანობის უნარ-ჩვევები და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისთვის;

9. კოლეჯის დირექტორი:

ა) წარმართავს და ორგანიზებას უწევს კოლეჯის საერთო და სასწავლო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით ამტკიცებს კოლეჯის სტრუქტურას, საშტატო განრიგს და ხელფასის ფონდს;

გ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს კოლეჯს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დებს გარიგებებს;

დ) კანონით დადგენილი წესით განაგებს და განკარგავს კოლეჯის ქონებას და სახსრებს, მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა კოლეჯის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე და ფულადი სახსრების მიზნობრივად და სწორად ხარჯვაზე;

ე) საქართველოს შრომის კოდექსით დადგენილი წესით აფორმებს შრომის ხელშეკრულებებს კოლეჯის თანამშრომლებსა და საჭიროებისამებრ დროებით მოწვეულ სპეციალისტებთან, იღებს გადაწყვეტილებებს კოლეჯის თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ; განსაზღვრავს პედაგოგთა დატვირთვის და სახელფასო ანაზღაურების ოდენობას;

ვ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებლივ აქტებს, წყვეტს მოსწავლეების კოლეჯში ჩარიცხვისა და გარიცხვის საკითხს;

ზ) პედაგოგიურ საბჭოსთან შეთანხმებით – არსებული დაფინანსების ფარგლებში ადგენს მისაღები კონტინგენტის პროექტს; შეიმუშავებს და ამტკიცებს კოლეჯის შინაგანაწესს და წლიურ ანგარიშს საფინანსო საქმიანობისა და სასწავლო-შემოქმედებითი პროცესის მიმდინარეობის შესახებ;

თ) ამტკიცებს კოლეჯის სტრუქტურული ერთეულების სამუშაო გეგმებს, განსაზღვრავს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;

ი) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრს წარუდგენს დასამტკიცებლად კოლეჯის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ პროექტს, რომელსაც წინასწარ ათანხმებს პედაგოგიურ საბჭოსთან;

კ) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს სხვა მოქმედებები.

10. დირექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პიროვნება, რომელსაც აქვს პედაგოგიური და სასპორტო მუშაობის არანაკლებ 3 წლის სტაჟი, სასწავლო პროცესის ორგანიზაციის უნარი და არ მიუღწევია 65 წლის ასაკისთვის.

11. დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში:

ა) პასუხისმგებელია სასწავლო პროცესზე.

ბ) დირექტორის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს მის მოვალეობას.

12. კოლეჯის ძირითადი სასწავლო სტრუქტურული ერთეულის განყოფილების უფროსად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პიროვნება.

მუხლი 5. კოლეჯის პედაგოგი და სასწავლო-დამხმარე პერსონალი

1. კოლეჯის პედაგოგად მუშაობის უფლება აქვს უმაღლესი აკადემიური განათლების მქონე პირს; იგი უნდა ეწეოდეს საქმიანობას დიპლომით მითითებული კვალიფიკაციის შესაბამისად.

2. კოლეჯის სასწავლო-დამხმარე პერსონალს წარმოადგენს ლაბორანტი, ბიბლიოთეკარი და სასწავლებლის საშტატო განრიგით განსაზღვრული სხვა მუშაკები.

3. კოლეჯის პედაგოგისა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება შინაგანაწესით.

მუხლი 6. კოლეჯის ქონება, დაფინანსება, ანგარიშგება

1. დასახული მიზნებისა და ფუნქციების განსახორციელებლად კოლეჯს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გადაეცემა შესაბამისი ქონება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. კოლეჯის დაფინანსების წყაროებია:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) ფასიანი სწავლებიდან მიღებული სახსრები;

გ) სახელმწიფო შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავალი;

დ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

ე) კანონმდებლობით ნებადართული დამხმარე სახის სამეურნეო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ კოლეჯის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას; კოლეჯის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

4. კოლეჯი ვალდებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს.

5. კოლეჯის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. კოლეჯს შეუძლია მხოლოდ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;

ბ) სესხის აღება;

გ) თავდებობა;

დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

ე) სხვა გადაწყვეტილებები კოლეჯის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა განსახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ქმედება საჭიროებს შეთანხმებას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან.

4. საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების განხორციელებაზე უნდა იყოს დასაბუთებული. უარი შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

მუხლი 8. სახელმწიფო კონტროლი

1. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტურობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

2. კოლეჯის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კოლეჯის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. კოლეჯის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, ახორციელებს საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

2. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება სრულად გადადის სახელმწიფო საკუთრებაში.

მუხლი 10. კოლეჯის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

კოლეჯის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.